კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სკოლის შესახებ

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST) 2008 წელს დაარსდა და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებზე დაყრდნობით, გთავაზობთ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნილ მაღალი დონის აკადემიურ პროგრამებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, აქ ასწავლიან საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში და არიან წარმატებული პროფესიონალები.

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ინოვაციური ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი სხვადასხვა მიმართულებით.

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა სტუდენტებს შესაძლებლობას გაძლევთ მონაწილეობა მიიღოთ გაცვლით პროგრამებში, ისწავლოთ პარტნიორ უნივერსიტეტებში და მიიღოთ საერთაშორისო გამოცდილება.

ჩვენი გუნდი მუდმივად მუშაობს იმაზე, რომ შემოგთავაზოთ ახალი, თქვენთვის საინტერესო პროგრამები და შეგიქმნათ სწავლისთვის საჭირო კომფორტული პირობები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში გაძლევთ უნიკალურ შანსს, დაწინაურდეთ წამყვან პოზიციებზე IT სფეროში.

პროგრამის სასწავლო პროცესი ეყრდნობა, სამეცნიერო კვლევის ელემენტების გათვალისწინებით, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს. ის კონცენტრირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის უახლესი სამეცნიერო თუ პრაქტიკული ინფორმაციით გამდიდრებული დისციპლინების სიღრმისეულ სწავლებაზე. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამა, საშუალებას გაძლევთ მიიღოთ დარგში ღრმა თეორიული ცოდნა და კარგად დაეუფლოთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს შესაბამისი ან მონათესავე (ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) დარგის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს.

მიღების წესები

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
- გასაუბრება
- შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებისგან). ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები, ასევე თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და გამოცდისაგან

CU დაფინანსება

მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება სახელმწიფო გრანტთან ერთად შეგიძლიათ CU გრანტით, რომელიც გულისხმობს 50%-იან დაფინანსებას პროგრამის სრულ ღირებულებაზე.

CU გრანტის მოპოვების ორი შესაძლებლობა არსებობს

- თუ ხართ ნებისმიერი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული და გაქვთ ბაკალავრიატის ჯამურ ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) 3.5 და მეტი
- თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დააგროვებთ 90 000 საგრანტო ქულაზე მეტს

თუ ორი პირობიდან რომელიმეს აკმაყოფილებთ შესაძლებლობა გექნებათ ჩაერთოთ საგრანტო კონკურსში და მოიპოვოთ CU გრანტი.

წლიური საფასური MBA	CU გრანტის მოპოვებისას (სახ. გრანტის გარეშე)	CU და სახელმწიფო გრანტის მოპოვებისას
4950 ლარი	2475 ლარი	1350 ლარი

საკონტაქტო ინფორმაცია

ნათია სულაბერიძე
საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

ტელ.: (+995 32) 237 77 77 (430)
მობ: 599 574128
ელ. ფოსტა: nsulaberidze@cu.edu.ge

შოთა ნიჟარაძე
დეკანი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (340)
მობ: 595 444 744
ელ. ფოსტა: shnizharadze@cu.edu.ge

მის. პაატა სააკაძის ქ.1

www.cu.edu.ge